მრავალპარტიულობის დამკვიდრება და დომინანტი პარტიების მმართველობა საქართველოში

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.03.02

რეზიუმე

საქართველოში სახეზეა მრავალპარტიულობა დომინირებული პარტიით. საერთოდ ყოველ ქვეყანაში პარტიებს შორის ყალიბდება საკუთარი განსაკუთრებული ურთიერთობები. ამ ურთიერთობათა ხასიათის აღსანიშნავად პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოღებულია ცნება „პარტიული სისტემა". პარტიული სისტემა ეს არის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთკავშირის ის რთული ქსელი, რომელიც ყალიბდება პარტიებს შორის, აგრეთვე, სახელმწიფოსა და ხელისუფლების სხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და პარტიებს შორის".

აღნიშნული ურთიერთობები ერთობლიობაში მკაფიოდ მიგვანიშნებენ პარტიის მასშტაბურ გავლენაზე ქვეყნის პლიტიკურ ცხოვრებაში.

მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემაში ერთი პარტიის დომინირება ბევრი სახელმწიფოსთვის არის დამახასიათებელი, რომელთა მსგავსად, ასევე, საქართველოში არჩევნებში გამარჯვებული პარტიები, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი უპირატესობით იმარჯვებენ და დიდი უმრავლესობით ხვდებიან პარლამენტში, რაც გამორიცხავს სხვა პარტიებთან თანამშრომლობის აუცილებლობას. ასეთ ვითარებაში, პოლიტიკური მოთამაშეები ურთიერთსაჭიროების მნიშვნელობებს ვერ ხედავენ, მაშინ ზედმეტია საუბარი სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიათა თანამშრომლობაზე.

საქართველოში ეს პროცესი პოლიტიკურ ძალებს შორის უკიდურესი დაპირისპირებისა და საზოგადოების მასობრივი მობილიზების ფონზე ვითარდება, როდესაც მთელი ძალაუფლება გამარჯვებულთა ხელში გადადის. შეიძლება ამგვარი პოლიტიკური პროცესი მომავალშიც მსგავსი მიმართულებით განვითარდეს, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ტრადიცია დაირღვეს და შეიქმნას ახალი პრეცედენტი საქართველოში, პრეცედენტი იმისა, რომ ჩამოყალიბდეს ძლიერი, სტაბილური, დომინანტური პარტიული სისტემა ან თანმიმდევრულად განვითარებადი მრავალპარტიული სისტემა. არც სხვა სცენარების გამორიცხვა შეიძლება, რაც არსებითად მთავარ პლიტიკურ პროცესებსა და მათ ურთიერთთანამშრომლობაზეა დამოკიდებული.

მიუხედავად ერთპარტიული სისტემისათვის დამახასიათებელი გარკვეული უარყოფითი მხარეებისა და ნიშან-თვისებებისა, რაც აშკარად ვლინდება მის მონოპოლიურ უფლებებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაზე. ასევე ერთი პარტიის მმართველობის დროს ხდება სახელმწიფო და პარტიული აპარატის შეზრდა, რაც საკმაოდ აფერხებს პოლიტიკურ ცხოვრებაში შეჯიბრებითობის, წინსვლის, ახლის ძიების შესაძლებლობებს. არც მრავალპარტიული სისტემის ზედმეტი იდეალიზაცია მოიტანს სარგებლობას, მასაც აქვს ასევე სუსტი და ნაკლოვანი მხარეები. ამას უცხოელი პოლიტიკოსებიც აღნიშნავენ ხანგრძლივი დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად. თუმცა, მიუხედავად ამისა, საზოგადოების დემოკრატიზაციის იმედები და პერსპექტივები დღეს, ხშირ შემთხვევაში, უკავშირდება მრავალპარტიულობას.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური პარტია, ერთპარტიული, მრავალპარტიული სისტემა, დომინანტი პარტიები.

ციტირებისთვის: დარსანია ნ., (2023) მრავალპარტიულობის დამკვიდრება და დომინანტი პარტიების მმართველობა საქართველოში, ასპექტები), ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა", 16 (3), 13-18. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk.

ნოდარ დარსანია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სსუ ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0000-0003-4698-1863
E-mail: nodar.darsania@yahoo.com

ESTABLISHMENT OF MULTIPARTY SYSTEM AND RULING BY DOMINANT PARTIES IN GEORGIA

Nodar Darsania
Doctor of History, SSU associate professor
https://orcid.org/0000-0003-4698-1863
E-mail: nodar.darsania@yahoo.com

SUMMARY

In Georgia, there is a multiparty system and it is governed by a dominant party. In general, in each country, special relationships are formed between the parties. In order to specify the character of these relationships, the term "Party system" has been introduced in political science. The party system is a complex network of interdependence and interrelationships, which is formed between the parties, as well as between other political institutions and parties of the state and government.

The above mentioned relationships in total clearly point us to the large-scale influence of the party in the political life of the country.

Dominance of one party in a multi-party political system is characteristic for several states, like them, in Georgia the winning parties in the elections usually win with a significant priorities and get with a large majority in the Parliament, which excludes the necessity of cooperation with other parties. In such a situation, political players do not observe the significance of mutual needs, then, in this case there is no need to talk about the cooperation of the authorities and opposition parties.

In Georgia, this process between political forces is developing on the background of extreme confrontation and mass mobilization of society, when all the government power is transferred to the hands of the winners. It is possible that such a political process will develop in a similar direction in the future, but it is also possible that the tradition will be broken and a new precedent will be created in Georgia, a precedent for establishing a strong, stable, dominant party system or a sequentially developing multi-party system can be established. Not any other scenarios be excluded, which essentially depend on the main political processes and their mutual cooperation.

Despite certain negative features and characteristic of the one-party system, the monopoly rights of such system are clearly revealed in the formation of state government bodies. Also, during the rule of one party, the state and party apparatus merge with each other, which hinders the possibilities of competition, progress, and the opportunities of searching for new things in political life. But excessive idealization of the multi-party system will not bring benefits either, it also has its weaknesses and shortcomings. This event is also noted by foreign politicians as a result of long observation and analysis. However, currently, the hopes and perspectives of democratization of the society today, in many cases, are connected to the establishment of multi-party system of governing the state.

Keywords: Political party, one-party, multi-party system, dominant parties. Political party, one-party, multi-party system, dominant parties. Political party, one-party, multi-party system, dominant parties.

For citation: Darsania N., (2023) Establishing Multipartyism and Dominant Party Governance in Georgia, Aspects), Journal of Business and Legislation, 16 (3), 13-18. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk

ძირითადი ტექსტი

პოლიტიკაში პოლიტიკურ პარტიათა ადგილი ძალიან დიდი და თვალსაჩინოა. ისინი აერთიანებენ გარკვეული სოციალური ჯგუფების, ფენებისა და კლასების ყველაზე აქტიურ და ორგანიზებულ ნაწილს. წარმოადგენენ რა ყველაზე გავლენიან ძალას პოლიტიკურ სივრცეში, აქტიურად მოქმედებენ და ორგანიზებულად მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესებში. პოლიტიკური პარტიების ისტორია ბურჟუაზიული წყობილების ჩასახვიდან იწყება, რადგან ორგანიზებულად გაფორმებული პარტიები გაჩნდნენ ბურჟუაზიული რევოლუციების მოახლოებისა და მათი უშუალო მსვლელობის პერიოდში. საერთოდ, პოლიტიკური პარტიების შექმნის პროცესი და პარტიული სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე დასავლეთში.

საქართველოში პოლიტიკური პარტიების წარმოშობის პროცესი მე-19 საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში, პირველი რევოლუციის პერიოდში. აქ მოქმედი პარტიების, მიმდინარეობებისა და ფრაქციების რიცხვი ორ ათეულამდე აღწევდა. თუმცა, მათგან გამოიყოფოდა მთავარი პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები, ანარქისტები, ეროვნულ-დემოკრატები. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. პირველი მსოფლიო ომის წინარე პერიოდში საერთო დემოკრატიულ მოძრაობას აშკარად აჩნდა სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის ნაკვალევი, რადგან სოციალ-დემოკრატები საქართველოს

ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ (1912 წელს რსდმპ მე-6 პრაღის კონფერენციაზე საბოლოოდ გამიჯვნის შედეგად ბოლშევიკები და მენშევიკები დამოუკიდებელ პარტიებად ჩამოყალიბდნენ). ამ პერიოდში სოციალ-დემოკრატების შემდეგ მნიშვნელოვნად წარმოჩინდა სოციალ-ფედერალისტების პარტია, რომელთა გავლენა საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო აშკარა ხდებოდა.

ჯერ კიდევ რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის დასასრულს, 1907 წელს, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ჩამოსცილდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც განუხრელად იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. იმ პერიოდში ქართველი ეროვნულ-დემოკრატიული ინტელიგენციის დიდი ნაწილი სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას.

1918-1921 წლებში ქართული დემოკრატიული სახელმწიფოსა და დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდესი მონაპოვარი მისი დემოკრატიული წესწყობილება და მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება იყო. მართალია, მმართველი პარტიის როლში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია იმყოფებოდა, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ამ პარტიის გარდა სხვა პარტიებიც - ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში, უმაღლესი ორგანოს - ეროვნული საბჭოს მუშაობაში.

საქართველოში დემოკრატიული წესწყობილების -მრავალპარტიული სისტემის- არსებობის ხანა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა წყობილების ძალდატანებით დამყარების შემდეგ მრავალპარტიულობა ერთპარტიულობით შეიცვალა. ქვეყნის მართვა - გამგეობას საქართველოს კომუნისტური პარტია ჩაუდგა სათავეში., რომლის მმართველობა 1991 წლამდე გაგრძელდა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში გზა გაეხსნა მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

1992 წლის დამდეგიდან საბჭოთა კავშირში შემავალ ყოფილ რესპუბლიკებში, ოლქებსა და მხარეებში საკმაოდ ინტენსიურად დაიწყო ჯუჯა პარტიების შექმნის პროცესი, რასაც შემდგომში მოჰყვა პოლიტიკური ძლიერების გაფართოება და მსხვილი პოლიტიკური ბლოკების შექმნაც კი [1]. აღსანიშნავია, რომ საქართველოში პარტიების შექმნის პროცესი წარიმართა განსხვავებული ფორმით. კერძოდ, პირველად აქ ჩნდებიან ხელმძღვანელები და შემდეგ ეძებენ პოტენციურ წევრებსაც და ამომრჩევლებს, რაც, სამწუხაროდ, სრულად ვერ აღმოიფხვრა ამ ხნის განმავლობაში და დღემდე გრძელდება. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოადოების არარსებობის პირობებში პარტიები იქმნებიან არა როგორც სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დამაკავშირებელი რგოლები, არამედ უშუალოდ როგორც პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც გამოხატავენ გარკვეული სოციალური ჯგუფების ინტერესებს და წარმოადგენენ გარკვეულ მომხრეთა გაერთიანებას პოლიტიკური მოღვაწეების გარშემო. შესაბამისად, პარტიების რიცხობრივი შემადგენლობაც უმთავრესად შემოიფარგლებოდა პარტიული ხელმძღვანელებითა და მათი მომხრე მცირე ჯგუფებით.

ასე დაიწყო საქართველოში ერთპარტიული სისტემიდან მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლა. აღსანიშნავია ის, რომ მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა რთულად და წინააღმდეგობრივად. ის ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყო ცივილიზებული ჩარჩოებიდან. რის შესახებაც ოცნებობდნენ დასავლეთის დემოკრატიის მეხოტბეები. საქართველოში ხშირად პარტიები ჩნდებოდნენ და ჩნდებიან დღესაც. . . რეგისტრაციას გადიოდნენ და გადიან დღესაც, მაგრამ მათი ნაწილი ქრებოდა და ქრება ამჟამადაც (იგულისხმება ის პარტიები, რომლებიც ვერ აღწევდნენ დასახულ მიზანს იმის გამო, რომ არ ჰყავდათ საკმარისი ელექტორატი, რომელიც მათ ზურგს გაუმაგრებდა და არც არაფერს წარმოადგენდა გარდა თავისი თავისა) [1].

მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ახალმა ცვლილებებმა ფართო გასაქანი მისცა პარტიებისა და მისი გაერთიანებების ეფექტურობას. ამ პროცესს თავისთავად ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ და მის ბაზაზე ახალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებამ. 1998 წლის 26 სექტემბრის, იუსტიციის სამინისტროდან მიღებული მონაცემებით, საქართველოში 79 პარტია იყო რეგისტრირებული [2]. აქედან წამყვანი მდგომარეობა ეკავა მოქალაქეთა კავშირს, როგორც სხვა დანარჩენებთან უფრო აქტიურ. შედარებით წარმმართველ და მრავალრიცხოვან პარტიას. მისი წევრთა რაოდენობა ამ დროისათვის 81, 320-ს შეადგენდა [2]. მოქალაქეთა კავშირის შემდეგ ყველაზე დიდ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა „სრულიად საქართველოს აჭარის აღორძინების კავშირი“, რომელიც დაარსდა 1992 წელს; 1995 წლიდან ის გარდაიქმნა სრულიად საქართველოს „აღორძინების კავშირად“, ხოლო 1998 წლიდან მას ეწოდება“დემოკრატიული აღორძინების კავშირი“ [2], რომლის წევრთა რაოდენობა პარტიაში შეადგენდა 80 000-ზე მეტს [2]. სახალხო პარტიამ (წევრთა რაოდენობა 7000) 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ხმათა 7% და პარლამენტში წარმოდგეილი იყო 23 დეპუტატით [2]. საქართველოს სოციალისტურმა პარტიამ კი, რომელიც წევრთა რაოდენობით (7000) მესამე პარტიას წარმოადგენდა - 7 დეპუტატი მიიღო [2]. შემდეგი პარტია, რომელიც აქტიურობდა, იყო საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია: ლეიბორისტებმა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, პარლამენტში წარმოდგენილი იყო 8 დეპუტატით [3].

იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 1999წლის ბოლოსთვის საქართველოში უკვე რეგისტრირებული იყო 124 პლიტიკური პარტია. აქედან ყველაზე მრავალრიცხოვანი ისევ მმართველი პარტია აღმოჩნდა - „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ [3]. მისი სამოქმედო

პროგრამის მთავარი მიმართულება იყო საბაზრო ეკონომიკის განმტკიცება და ეკონომიკური და სოციალური რეფორმების განხორციელება. საგარეო პოლიტიკაში კი - მსოფლიოს ავტორიტეტულ სტრუქტურებში ინტეგრირება, კეთილმეზობლური ურთიერთობა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან [3].

მოქალაქეთა კავშირის" პარტიის წევრთა რაოდენობა შეადგენდა 1999 წლის მონაცემებით, 112000-სს. აქედან აქტიურ წევრად თვლიდნენ 35000-სს. ყველა რაიონში ჰქონდა თავისი ორგანიზაცია [3]. საქართველოში მეორე დიდი გაერთიანება იყო ბლოკი „საქართველოს აღორძინება", რომელშიც გაერთიანებული იყვნენ: დემოკრატიული აღორძინების კავშირი, საქართველოს სოციალისტური პარტია, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანობის მოძრაობა „ჭყონდიდელი", „ხსნის მოძრაობა"- ერის სახლი" [3].

ბლოკის „საქართველოს აღორძინების" ძირითად საპროგრამო მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოში პოლიტიკური სტაბილიზაციის დამკვიდრება-განმტკიცება, ქვეყნის ერთიანობის უზრუნველყოფა, საბაზრო ეკონომიკის განვითარება, მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა, ბიზნესის ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა. ასევე, საქართველოს ინტეგრირება მსოფლიოს მაღალანვითარებულ - დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო - სისტემაში [1].

ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", მოძრაობა ქართული სახელმწიფოსთვის, რეფორმატორთა და აგრარიკოსთა კავშირი - მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა; საგარეო პოლიტიკა. საგარეო პოლიტიკა: ინტენსიური თანამშრომლობა საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, თანასწორუფლებიანობის პრინციპებისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა და ა.შ [1].

ბლოკი „ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი" - მესამე გზა" - ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია, ეროვნული მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია (მრეწველთა პარტია), დევიზი: „სიმართლე ყველგან და ყოველთვის", პოლიტიკური მიმართულება - მემარჯვენე ცენტრისტული. საპროგრამო პრიორიტეტები: ეკონომიკა, მცირე ბიზნესი და ადგილობრივი წარმოების განვითარება. საგარეო პოლიტიკა: სახელმწიფო ნეიტრალიტეტის დაცვა და მშვიდობიანი კეთილმეზობლური ურთიერთდაცვა; ევროპისკენ სვლა და ევროკავშირში გაერთიანება; სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა, უნიტარული ასიმეტრიული რეგიონალიზმი [1].

2003 წლის ნოემბრისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებული იყო 170-ზე მეტი პარტია. ხოლო 2003 წლის ნოემბრის მწვავე და მძიმე პოლიტიკური პროცესების შემდეგ ქვეყანაში არსებითად შეიცვალა პოლიტიკური სპექტრი: პოლიტიკური სარბიელიდან გაქრა მოქალაქეთა კავშირი, თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური ელიტა. 2004 წლის იანვრის საპეზიდენტო და მარტის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ მმართველ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა ნაციონალებისა და დემოკრატების გაერთიანებული პარტია. ჩამოყალიბდა თითქმის ერთპარტიული პარლამენტი, სადაც მრეწველებისა და მემარჯვენეების გაერთიანება 15 მანდატს დაეუფლა. ასევე, უმნიშვნელო იყო იმ მაჟორიტარი დეპუტატების კორპუსი, რომლებიც ოპოზიციურ განწყობას გამოხატავდნენ. შვიდპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა ლეიბორისტულმა პარტიამ, „აღორძინებამ" და სხვა პარტიებმა [1].

2006 წლისთვის საქართველოში, იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 185 პოლიტიკური პარტია, 8355 არასამთავრობო ორგანიზაცია და 1188 ფონდი მოქმედებდა" [4]. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა დარეგისტრირებული პარტიებიდან ათი დამოუკიდებელი პარტია და ექვსი პოლიტიკური გაერთიანება (ბლოკი), სადაც გამარჯვება წილად ხვდა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს", ხოლო მეორე პარტიად, „ქართული ოცნების" შემდეგ, დარჩა პარტია „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა"[5], 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე 50 სუბიექტიდან საპარლამენტო მანდატები მოიპოვა 9 დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა პარტიამ და ბლოკმა. მოპოვებული ხმების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" - 48% [6]; პარტიული ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – 27% [6], პარტია „ლელო" საქართველოსთვის-3,5% [6], პარტია „ევროპული საქართველო" - მოძრაობა თავისუფლებისთვის -3,79% [6], პარტიული ბლოკი „სტრატეგია აღმაშენებელი"- 3,15% [6]; საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 1% [6]; ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი"- 2,89% [6]; ალეკო ელისაშვილი - „მოქალაქეები" - გადალახა 1%-იანი ბარიერი [6]; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა" – 3,14% [6].

ამგვარად, „ქართულმა ოცნებამ" წამყვანი ლიდერი პარტიის სახელი ისევ შეინარჩუნა. იგი მესამეჯერ გახდა ქვეყნის მმართველი პარტია. მას მოპოვებული ხმების რაოდენობით საგრძნობლად ჩამორჩება პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც დღემდე მყარად დაიმკვიდრა თავი მეორე ანგარიშგასაწევ ოპოზიციურ ძალად. ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ დანარჩენი პარლამენტში გასული პარტიები საგრძნობლად ჩამორჩებიან მიღებული ხმების რაოდენობით, როგორც პარტია „ქართულ ოცნებას", ისე პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას".

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული სახელმწიოს განვითარების ახალ ეტაპზე მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა ძირეული ცვლილებები გამოიწვიეს საქართველოს საზოგადოებრივ ყოფაში. დამოუკიდებელი თავისუფალი აზროვნების დამკვიდრებამ და მისმა განვითარებამ თავისი ასახვა ჰპოვა საზოგადოების პოლიტიკურ ცხო-

ვრებაში. დასაბამი მიეცა მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას.

ამდენად, საქართველოში სახეზეა მრავალპარტიულობა დომინირებული პარტიით. საერთოდ ყოველ ქვეყანაში პარტიებს შორის ყალიბდება საკუთარი განსაკუთრებული ურთიერთობები. ამ ურთიერთობათა ხასიათის აღსანიშნავად პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოღებულია ცნება „პარტიული სისტემა". პარტიული სისტემა ეს არის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთკავშირის ის რთული ქსელი, რომელიც ყალიბდება პარტიებს შორის, აგრეთვე, სახელმწიფოსა და ხელისუფლების სხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და პარტიებს შორის" [7].

აღნიშნული ურთიერთობები ერთობლიობაში მკაფიოდ მიგვანიშნებენ პარტიის მასშტაბურ გავლენაზე ქვეყნის პლიტიკურ ცხოვრებაში.

პარტიული სისტემის დახასიათებისას იყენებენ სხვადასხვა კრიტერიუმებს. მათ შორის უზოგადესად მიიჩნევენ სისტემაში ჩართული პარტიების რაოდენობით შეფასებას. ამ ნიშნით გამოყოფენ შემდეგ კატეგორიებს,როგორიცაა ერთპარტიულ, ორპარტიულ და მრავალპარტიულ სისტემებს.

ერთპარტიულ სისტემაში კანონიერად მხოლოდ ერთი ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რომელიც მთლიანად აკონტროლებს ხელისუფლებას. ორპარტიული სისტემა, ასე თუ ისე, თანაბარი სიძლიერის პოლიტიკური პარტიის მოქმედების ასპარეზია. ასეთ სისტემებში კანონმდებლობა არ ზღუდავს ახალი პარტიების ჩამოყალიბებას. თუმცა ორი ძლიერი პარტიისათვის კონკურენციის გაწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. რაც შეეხება მრავალპარტიულ სისტემას, იგი მხოლოდ მაშინ არსებობს (თუ გავიზიარებთ ანალიტიკოსთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებებს), თუ მასში, სულ მცირე, სამი ძლიერი პოლიტიკური მოთამაშეა ჩართული [8] და არჩევნების შედეგად საზოგადოებრივი მხარდაჭერა რამდენიმე პარტიაზე ისე ნაწილდება, რომ გამარჯვებული პარტია მთავრობის ფორმირებისას იძულებულია სხვა პარტიებთან შექმნას კოალიცია [8].

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის რეალობაც, რომ რიგ ქვეყნებში მრავალპარტიული სისტემა არის წარმოდგენილი დომინირებული პარტიით. რაც მთავარია, ამ სისტემისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ ის ინარჩუნებს შეჯიბრობითობის პროცესს ხელისუფლებისათვის. როგორც წესი, აქ საყოველთაო არჩევნებში ხელისუფლებისათვის იბრძვის რამდენიმე პარტია, მაგრამ ყოველთვის იმარჯვებს ერთი მსხვილი პარტია, რომელიც სწორედ ამ მიზნით იმყოფება ხელისუფლების სათავეში ხანგრძლივი დროის განმავლობაში [7]. ამასთანავე, რასაკვირველია, იბადება კითხვა, რამდენად ხანგრძლივი უნდა იყოს ეს პერიოდი, რომ პარტია დახასიათდეს, როგორც დომინირებული? ამგვარი სისტემის კლასიკურ მაგალითად მიიჩნევენ იაპონიას, სადაც 1993 წლის შემოდგომამდე ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია იმყოფებოდა შეუწყვეტლივ ხელისუფლებაში, სრული 38 წლის განმავლობაში. ასევე, ინდოეთში ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან, 1947 წლიდან, ხელისუფლების სათავეში 30 წლის განმავლობაში იმყოფებოდა პარტია - ინდოეთის ეროვნული კონგრესი. 1989 წლამდე მან მხოლოდ სამი წელი დაჰყო ოპოზიციაში. ევროპაში ასეთი სისტემის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მაგალითის ქვეყნები არიან: შვედეთი, სადაც 1951-1993 წლებში ქვეყანას მართავდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და იტალია, სადაც ყველა - 52 მთავრობაში, რომელიც ხელმძღვანელობდა ქვეყანას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, წამყვანი პოზიციები ეკავა ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას. ეს პერიოდი დასრულდა მხოლოდ 1992- 1994 წლებში [9].

ამდემად, მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემაში ერთი პარტიის დომინირება ბევრი სახელმწიფოსთვის არის დამახასიათებელი, რომელთა მსგავსად, ასევე, საქართველოში არჩევნებში გამარჯვებული პარტიები, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი უპირატესობით იმარჯვებენ და დიდი უმრავლესობით ხვდებიან პარლამენტში, რაც გამორიცხავს სხვა პარტიებთან თანამშრომლობის აუცილებლობას. საკანონმდებლო ორგანოში დიდი უმრავლესობით გამარჯვებული პარტია ერთპიროვნულად აკომპლექტებს სახელისუფლებო ინსტიტუტებს. ასევე, ქვეყანაში არსებული პარტიული სისტემის მნიშვნელოვანი მახასიათებელი პოლიტიკური სპექტრის მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს უკავია. ეს დაყოფა ძალიან აქტუალური იყო, როგორც 2003 წლის ნოემბრის რევოლუციურ მოვლენებამდე, ასევე აქტუალურია ამჟამადაც. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მუდმივად წარმოდგენილია ერთი სახელისუფლებო პარტია. იგი აბსოლუტური უმრავლესობით სარგებლობს და შეუძლია სხვა პარტიებთან შეუთანხმებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და გამოსცეს კანონები. პარლამენტში უხვადაა წარმოდგენილი თავისუფალი მაჟორიტარი დეპუტატები, მაგრამ ისინი მეტწილად სახელისუფლებო უმრავლესობას უჭერენ მხარს. სახელისუფლებო პარტია წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტების მთავარ წყაროსაც. მართალია, ქართული კანონმდებლობა განასხვავებს პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ საჯარო მოხელეთა თანამდებობებს, მაგრამ პრაქტიკაში მისი გათვალისწინება თითქმის არ ხდება. ამას თან ერთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შეზღუდული უფლებამოსილებები და მწირი ეკონომიკური რესურსები, რის გამოც მათი გავლენა პოლიტიკაზე უმნიშვნელოა. არსებული ვითარება ხელს უწყობს ხელისუფლების თავისუფლების მაღალ ხარისხს. რაც ქვეყნისთვის საჭირო რეფორმების გასატარებლად იქნება გამოყენებული [8].

როცა ერთი პარტია დომინირებს სუსტსა და დანაწევრებულ ოპოზიციაზე, დგება პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი. ოპოზიციური პარტიები ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას მთლიანად სახელისუფლებო პარტიას აკისრებენ. თავად პასუხისმგებლობას არ ინაწილებენ. სახელისუფლებო პარტიაც მსგავსად ფიქრობს და აცხადებს, რომ ის არის მმართველი პარტია და სწორედ მას მოეთხოვება პასუხი ნებისმიერი ნაბიჯისათვის [8].

ამდენად, ასეთ ვითარებაში, სადაც პოლიტიკური

მოთამაშეები ურთიერთსაჭიროების მნიშვნელობებს ვერ ხედავენ, მაშინ ზედმეტია საუბარი სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიათა თანამშრომლობაზე.

ხშირად მმართველი პარტიების სიძლიერე ოპოზიციურ პარტიათა მიერ საფრთხედ აღიქმება. მათი რწმენით ხელისუფლებას გავლენა აქვს სასამართლოზე, მედიასა და საარჩევნო ადმინისტრაციაზე. ოპოზიციური პარტიები ამ საფრთხის შემცირების ძირითად საშუალებად დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, ქვეყნის დეცენტრალიზაციასა და ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის მიღწევას მიიჩნევენ [8].

საერთოდ, ქვეყნის პარტიული სისტემის შეფასებისას ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ ხდება ხელისუფლების ცვლა. საქართველოში ეს პროცესი პოლიტიკურ ძალებს შორის უკიდურესი დაპირისპირებისა და საზოგადოების მასობრივი მობილიზების ფონზე ვითარდება, როდესაც მთელი ძალაუფლება გამარჯვებულთა ხელში გადადის. შეიძლება ამგვარი პოლიტიკური პროცესი მომავალშიც მსგავსი მიმართულებით განვითარდეს, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ტრადიცია დაირღვეს და შეიქმნას ახალი პრეცედენტი საქართველოში, პრეცედენტი იმისა, რომ ჩამოყალიბდეს ძლიერი, სტაბილური, დომინანტური პარტიული სისტემა ან თანმიმდევრულად განვითარებადი მრავალპარტიული სისტემა. არც სხვა სცენარების გამორიცხვა შეიძლება, რაც არსებითად მთავარ პლიტიკურ პროცესებსა და მათ ურთიერთთანამშრომლობაზეა დამოკიდებული [8].

ასევე, ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რამდენად ხშირად იცვლება ქვეყნის პოლიტიკურ სცენაზე წარმოდგენილი ძირითადი პარტიები. ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთზე მოქმედი ძირითადი პარტიები სწრაფად თუ ჩამოდიან პოლიტიკური სცენიდან, ასეთ რეალობას სუსტად ინსტიტუციონალიზებულ პარტიულ სისტემებს უწოდებენ. საქართველო აშკარად ამ ტიპს მიეკუთვნება. დამოუკიდებლობის პერიოდში ქართულმა საზოგადოებამ არაერთი დიდი და გავლენიანი პარტიის გაქრობა იხილა და ასევე ახალი ძლიერი პარტიების წარმოშობის მომსწრე გახდა [8]. რაც უსათუოდ საზოგადოებაში მათდამი არსებული მხარდაჭერის მასშტაბურობით იყო გამოწვეული. მიუხედავად ერთპარტიული სისტემისათვის დამახასიათებელი გარკვეული უარყოფითი მხარეებისა და ნიშან-თვისებებისა, რაც აშკარად ვლინდება მის მონოპოლიურ უფლებებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაზე. ასევე ერთი პარტიის მმართველობის დროს ხდება სახელმწიფო და პარტიული აპარატის შეზრდა, რაც საკმაოდ აფერხებს პოლიტიკურ ცხოვრებაში შეჯიბრებითობის, წინსვლის, ახლის ძიების შესაძლებლობებს. არც მრავალპარტიული სისტემის ზედმეტი იდეალიზაცია მოიტანს სარგებლობას, მასაც აქვს ასევე სუსტი და ნაკლოვანი მხარეები. ამას უცხოელი პოლიტიკოსებიც აღნიშნავენ ხანგრძლივი დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად. თუმცა, მიუხედავად ამისა, საზოგადოების დემოკრატიზაციის იმედები და პერსპექტივები დღეს, ხშირ შემთხვევაში, უკავშირდება მრავალპარტიულობას [1].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პოლიტოლოგია, თბ., ომარ გოგიაშვილის რედ-ით, 2004;

2. საქართველოს პოლიტიკური პარტიები, ცნობარი, გამომც. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. თბ., 1998;

3. საქართველოს პოლიტიკური პარტიები, ცნობარი, გამომც. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. თბ.,1999;

4. მ. მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკური ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, გამომც.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბ., 2006;

5. https://archiveresults.cec.gov.ge/results/2012/index.html ცენტრალური საარჩევნო კომისია;

6. საქართველოს პოლიტიკური პარტიები, ცნობარი, გამომც.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბ., 2003;

7. ნ. დარსანია, პოლიტიკური ინსტიტუტები, გამომც.: ალ. ღლონტი. თბ. 2011;

8. პარტიული სისტემა საქართველოში, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, ჰააგა. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისი (ვარშავა). თბ., 2007;

9. Ендрью Хейвуд, Политология, М. 2005.